

**შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სამელიორაციო მომსახურებისა და ტბორებისთვის წყლის მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დამტკიცების შესახებ 2022 წლის 30 მაისის ბრძანება №80-ის დანართი N1**

**სამელიორაციო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები**

სამელიორაციო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (შემდგომში - ხელშეკრულების სტანდარტული პირობები) შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და აწესრიგებს შპს „საქართველოს მელიორაციას“ (შემდგომში - მიმწოდებელი) და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს - წყალმომხმარებლებს (შემდგომში - მომხმარებელი) შორის ურთიერთობას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ, მის მფლობელობაში არსებული სამელიორაციო სისტემის საშუალებით, მომხმარებლის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის სამელიორაციო მომსახურება, რაც გულისხმობს სარწყავი წყლის მიწოდებას (ირიგაცია) ან ჭარბი წყლის მოცილებას (დრენაჟი).

1.2. სამელიორაციო მომსახურების მისაღებად მომხმარებელმა მიმწოდებლის შესაბამის სერვის-ცენტრში უნდა წარადგინოს (დაარეგისტრიროს) სამელიორაციო მომსახურების განაცხადი. რეგისტრირებული მომსახურების განაცხადის საფუძველზე სარწყავი წყლის მიწოდების (ირიგაცია) მომსახურება ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი (მიმდინარე) კალენდარული წლის განმავლობაში, ხოლო ჭარბი წყლის მოცილების (დრენაჟი) მომსახურება ხორციელდება 3 წლიანი მომსახურების განაცხადის რეგისტრაციის გზით.

**მუხლი 2. მომსახურების განაცხადი**

2.1. მომსახურების განაცხადი შეიძლება წარდგენილი იქნეს როგორც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ასევე არარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

2.2. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამელიორაციო მომსახურების მისაღებად, დაინტერესებულმა პირმა განაცხადს თან უნდა დაურთოს უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, იჯარის ხელშეკრულება ან რწმუნებულება. აღნიშნული დოკუმენტების არარსებობისას მომსახურება განხორციელდება მომსახურების საფასურის წინასწარ გადახდის შემთხვევაში.

**მუხლი 3. მომსახურების წესი**

3.1. სამელიორაციო მომსახურებით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად, მიმწოდებელს წარუდგენს განაცხადს მომსახურების მიღების მოთხოვნით.

3.2. მიმწოდებელი მომხმარებლისთვის შესაბამის მიწის ნაკვეთზე სარწყავი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს განაცხადში მითითებულ პერიოდში.

3.3. სარწყავი წყლის უკმარისობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მრავალწლიანი კულტურების ირიგაციას.

3.4. მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდება შეიძლება დროებით შეჩერდეს:

ა) შესაბამის სამელიორაციო სისტემაზე სამშენებლო, სარეაბილიტაციო ან საექსპლუატაციო სამუშაოების წარმოების მიზნით;

ბ) შესაბამის სამელიორაციო სისტემაზე წარმოქმნილი ავარიული დაზიანებისას, რაც შეუძლებელს ხდის მომსახურებას;

გ) ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების იმგვარი გაუარესების შემთხვევაში, რაც შეუძლებელს ხდის მომსახურებას.

#### **მუხლი 4. მომსახურების საფასური**

სამელიორაციო მომსახურების საფასური დადგენილია სემეკის 2011 წლის 1 თებერვლის N2 დადგენილებით, რომლის მიხედვითაც:

ა) აღმოსავლეთ საქართველოში სამელიორაციო მომსახურების - ირიგაციის (სარწყავი წყლის მიწოდების) საფასური შეადგენს ყოველ ჰექტარზე 75 ლარს წელიწადში;

ბ) დასავლეთ საქართველოში სამელიორაციო მომსახურების - სარწყავი წყლის მიწოდების (ირიგაციის) საფასური ყოველ ჰექტარზე შეადგენს 45 ლარს წელიწადში, ხოლო - ჭარბი წყლის მოცილების (დრენაჟის) საფასური შეადგენს ყოველ ჰექტარზე 40 ლარს წელიწადში.

#### **მუხლი 5. მომსახურების მიღება**

5.1. მომხმარებლის მიერ მომსახურება მიღებულად ითვლება შესაბამის (მიმდინარე) წელს შესაბამის მიწის ნაკვეთზე სარწყავი წყლის მიღების ან ჭარბი წყლის მოცილების პირველივე შემთხვევისთანავე.

5.2 მომსახურება მომხმარებლის მიერ მიღებულად ჩაითვლება, თუ განაცხადით განსაზღვრული მომსახურების პირველი პერიოდის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში მომხმარებელი წერილობით არ აცნობებს მიმწოდებელს მომსახურების მიუღებლობის შესახებ.

5.3 თუ მომხმარებელს განაცხადში მითითებული აქვს მომსახურების რამდენიმე პერიოდი და პირველი პერიოდის გასვლიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წერილობით განაცხადებს მომსახურების მიუღებლობის შესახებ, ამ მუხლის 5.2 პუნქტით დადგენილი წესი ავტომატურად გავრცელდება მომდევნო პერიოდზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი ითხოვს განაცხადის შეწყვეტას.

5.4 თუ მომხმარებელს განაცხადში მითითებული აქვს მომსახურების მხოლოდ ერთი პერიოდი და განაცხადით განსაზღვრული მომსახურების შესაბამისი პერიოდის ბოლო

დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს მიმწოდებელს მომსახურების მიუღებლობის შესახებ, განაცხადი ჩაითვლება შეწყვეტილად.

## მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1. მომხმარებლის მიერ მიწის ნაკვეთზე, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამელიორაციო მომსახურების (ირიგაცია) საფასური გადახდილი უნდა იქნეს:

ა) თუ მომსახურების მიწოდების პირველი პერიოდი მოთხოვნილია 01 იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით - არაუგვიანეს შესაბამისი წლის პირველი ოქტომბრისა;

ბ) თუ მომსახურების მიწოდების პირველი პერიოდი მოთხოვნილია 01 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით - არაუგვიანეს შესაბამისი წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. მომხმარებლის მიერ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთებზე), რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მომსახურების (ირიგაცია) საფასური გადახდილი უნდა იქნეს წინასწარ.

6.3. ჭარბი წყლის მოცილების (დრენაჟის) მომსახურების საფასური, როგორც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ, ასევე არარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მომსახურების საფასური გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს შესაბამისი წლის პირველი ოქტომბრისა.

6.4. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული წინასწარ გადასახდელი მომსახურების საფასური არ იქნება გადახდილი მომსახურების მიღებამდე (შესაბამისი მიწის ნაკვეთის პირველად მორწყვამდე - (ირიგაცია)), მიმწოდებელს უფლება აქვს მომსახურების განაცხადი ჩათვალოს შეწყვეტილად და უარი განაცხადოს მომსახურების გაწევაზე. ასეთ შემთხვევაში წყლით სარგებლობის ფაქტი განიხილება სარწყავი წყლის დატაცებად, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ისჯება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.5. მომსახურების (ირიგაცია, დრენაჟი) დასრულების შემდეგ გადასახდელი მომსახურების საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მომხმარებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება, თუ დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა მიაღწევს მომსახურების საფასურის 50%-ს.

6.6. ანგარიშსწორებისას პირველ რიგში დაიფარება მომსახურების საფასური, ხოლო შემდეგ დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.7. მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის გადარიცხვით. მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებია:

- სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22, ანგარიშის ნომერი GE42TB7484736020100003;
- სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი GE58BG0000000182323100;
- სს „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE54LB0113111469652000;

- სს „ვითიბი ბანკი“, ბანკის კოდი UGEBGE22, ანგარიშის ნომერი GE20VT110000000093408.

## **მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

### **7.1. მომხმარებელს უფლება აქვს:**

- ა) მიიღოს სრული ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული მომსახურების შესახებ;
- ბ) წარადგინოს განაცხადი მომსახურების მიღების მოთხოვნით;
- გ) შეუფერხებლად მიიღოს სრული ინფორმაცია მომსახურების შეჩერების, შეზღუდვის ან შეწყვეტის თაობაზე, შესაბამისი გამომწვევი მიზეზებისა და მომსახურების აღდგენის დროის მითითებით;
- დ) მომსახურების მიღებამდე მოითხოვოს განაცხადით განსაზღვრული მომსახურების პერიოდის ან/და ფართობის კორექტირება ან ხელშეკრულების შეწყვეტა;
- ე) მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში არ გადაიხადოს ან დაიბრუნოს უკვე გადახდილი მომსახურების საფასური.

### **7.2. მომხმარებელი ვალდებულია:**

- ა) შეასრულოს წინამდებარე სტანდარტული პირობებით ნაკისრი ვალდებულებები და დროულად გადაიხადოს მომსახურების საფასური;
- ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს მისი საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონის ნომერი, მინდობილი პირი; იურიდიული პირის შემთხვევაში - საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი) ან/და მოსარწყავი ფართობის ცვლილების შესახებ;
- გ) მიმწოდებელს აცნობოს მომსახურების განაცხადით გათვალისწინებული პირობების ცვლილების შესახებ.

### **7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:**

- ა) ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, მათ შორის, დაადგინოს მომსახურებისა და ანგარიშსწორების ახალი პირობები;
- ბ) სამელიორაციო ინფრასტრუქტურაზე განახორციელოს საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებები (რომელიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას, მათ შორის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას), რასაც შეიძლება მოჰყვეს მომსახურების შეჩერება ან შეზღუდვა.
- გ) მომხმარებელს მოსთხოვოს მომსახურების საფასურის დროულად გადახდა და დავალიანების ამოღების მიზნით გაატაროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად უზრუნველყოს მომხმარებლის ჯეროვანი მომსახურება;
- ბ) უზრუნველყოს სამელიორაციო მომსახურებასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მომხმარებლისათვის;
- გ) წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ნებისმიერი ცვლილება გამოაქვეყნოს ვებ გვერდზე [www.ag.ge](http://www.ag.ge);
- დ) განიხილოს მომსახურებასთან დაკავშირებული მომხმარებლის საჩივარი.

## **მუხლი 8. ფორს მაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორით.

8.2. ფორს მაჟორი – სტიქიური უბედურება, ტექნოგენური კატასტროფა, სახელმწიფო გადატრიალება, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანების მიერ დაწესებული შეზღუდვები ან/და აკრძალვები, ასევე სხვა ისეთი გარემოებები, რომელთა წარმოშობაზე, განვითარებასა და მართვაზე გავლენის მოხდენა მხარეებს არ შეუძლიათ.

## **მუხლი 9. პასუხისმგებლობა და დავის გადაჭრის წესი**

9.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა უნდა მოგვარდეს მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 10. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მოქმედების ვადა**

10.1. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობები ძალაში შედის სამელიორაციო მომსახურების განაცხადის რეგისტრაციისთანავე.

10.2. სამელიორაციო მომსახურების განაცხადის წარდგენით მომხმარებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.

10.3. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია მიმწოდებლის სერვის-ცენტრებში და ვებ გვერდზე: [www.ag.ge](http://www.ag.ge).

10.4. მომხმარებელი უფლებამოსილია მომსახურების მიღებამდე შესაბამისი წერილობითი განცხადებით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. წყლის მიწოდების (ირიგაცია) მომსახურება ხორციელდება განაცხადის რეგისტრაციის საფუძველზე, რომელიც მოქმედია მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო ჭარბი წყლის მოცილების (დრენაჟი) მომსახურება ხორციელდება მომსახურების განაცხადის რეგისტრაციის საფუძველზე, რომელიც მოქმედია მესამე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **მუხლი 11. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცვლილება**

11.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია ცალმხრივად, მომხმარებლის თანხმობის გარეშე, განახორციელოს ცვლილებები წინამდებარე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში.

11.2. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ყველა სერვის-ცენტრის საინფორმაციო დაფაზე და გამოქვეყნდეს ვებ გვერდზე [www.ag.ge](http://www.ag.ge).

11.3. ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში განხორციელებული ცვლილება ძალაში შედის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე. სტანდარტული პირობების ცვლილება, რომელიც აუარესებს მომხმარებლის მდგომარეობას, ძალაში შედის ვებ გვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.